



2021 წელი

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი:

- 1) ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ გვ.3
- 2) სრული ფინანსური ანგარიშგება გვ.4
- 3) მოგებისა და ზარალის ანგარიშგება გვ.5
- 4) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება გვ.6
- 5) ზოგადი ინფორმაცია გვ.6
- 6) საწარმოს ძირითადი საქმიანობა გვ.6
- 7) მომზადების საფუძველი გვ.7
- 8) ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები გვ.7
 - სააღრიცხვო პოლიტიკა გვ.7
 - სამუშაო და წარსადგენი ვალუტა გვ.7
 - ამონაგების აღიარება გვ.7
 - სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები გვ.8
 - მარაგები გვ.8
 - იჯარა გვ.8
 - დაქირავებულ პირთა გასამჯელო გვ.8
 - ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები გვ.8
 - ძირითადი საშუალებები გვ.8-9

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ:

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მსს ფასს-ის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

1.1. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ ორგანიზაცია შეწყვეტს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

1.2. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავება, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე;

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად მომზადებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

თ. აფციაური



2. სრული ფინანსური ანგარიშგება:

სრული ფინანსური ანგარიშგება 2021წ	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2021წ	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2020წ
აქტივები	692,666	454,584
ფული და ფულის ეკვივალენტები	246	3,027
სავაჭრო მოთხოვნები	692,420	451,557
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		-
მარაგები	4,602	1,731,264
- მზა პროდუქცია	-	-
- სხვა	8	653,700
სხვა მიმდინარე აქტივები	-	34,331
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	4,594	1,043,233
სულ აქტივები	697,268	2,185,848
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	601,031	1,136,540
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	17,315
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	827,010	1,617,700
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1,793,168	885,263
სხვა ვალდებულებები	3,780,684	3,550,146
სულ ვალდებულებები:	7,001,893	7,206,964
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(6,304,625)	(5,021,116)
სულ საკუთარი კაპიტალი	(6,304,625)	(5,021,116)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	697,268	2,185,848

დირექტორი:

თ. აფციაური




3. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება:

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება		2021წ	2020წ
სულ ამონაგები:		150,940	2,452,929
	სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	8,941	1,597,865
	სხვა	141,999	855,064
თვითღირებულება:		805,728	2,771,610
	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	142,673	-
	სამშენებლო პროექტების თვითღირებულება	663,055	2,771,610
საერთო მოგება / (ზარალი)		(654,788)	(318,681)
საოპერაციო ხარჯები:		292,594	973,162
	ხელფასები:	7,452	214,478
	საიჯარო ხარჯი	-	21,949
	საპროცენტო ხარჯი	151,693	220,595
	ცვეთა და ამორტიზაცია	1,497	37,913
	სხვა ხარჯები	131,952	478,227
მოგება / (ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან:		(947,382)	(1,291,843)
არასაოპერაციო შემოსავლები / (ხარჯები):		(336,127)	69,538
წმინდა მოგება (ზარალი)		(1,283,509)	(1,222,305)

დირექტორი:

თ. აფციაური



4. საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება:

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2021წ					
დასახელება	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	წმინა მოგება / (ზარალი)	გაცემული დივიდენდი	სულ კაპიტალი
2021წ. 01 იანვარი	-	-	(5,021,116)	-	(5,021,116)
გადაფასების რეზერვის ზრდა / (შემცირება)		-			-
წმინდა მოგება (ზარალი)			(1,283,509)	-	(1,283,509)
გაცემული დივიდენდი				-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)					
2021წ. 31 დეკემბერი	-	-	(6,304,625)	-	(6,304,625)

5. ზოგადი ინფორმაცია:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იუ თი ჯი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და გადასახადის გადამხდელად ირიცხება 2013 წლის 04 დეკემბერიდან. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405020702. კომპანია ფუნქციონირებს საქართველოში.

კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორია ბ-ნ თამაზი აფციაური (პ/წ 100%), იგი ჩართულია კომპანიის მართვაში და ასევე არის კომპანიის დირექტორი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. რუსთავი, მაზნიაშვილის ქ. №4.

6. კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რემონტი, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია;

გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, მაგისტრალური მილსადენი, წყალსადენი, სარწყავი სისტემები, სამელიორაციო, რემონტი, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია;

ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა;

საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის მოწყობილობებით, არმატურით.

დირექტორი:

თ. აფციაური



7. მომზადების საფუძველი:

შპს „იუ თი ჯი“-ს ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

8. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

8.1. სააღრიცხვო პოლიტიკა:

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მის ფასს-ზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მის ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი.

8.2. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა:

საწარმოს სამუშაო და წარსადგენი (საანგარიშგებო) ვალუტა არის ეროვნული ვალუტა - ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება უცხოურ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთის კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო დღეს, 31 დეკემბერს, არსებული ოფიციალური ეროვნული ვალუტის კურსით.

ეროვნული ვალუტის კურსებია:

31.12.2021 წ. - 1 აშშ დოლარი= 3.0976 ლარი

31.12.2020 წ. - 1 აშშ დოლარი= 3.2766 ლარი

კონვერტაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

8.3. ამონაგების აღიარება:

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება, ხოლო მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.



8.4. სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები:

8.4.1. მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

8.4.2. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

8.5. მარაგები:

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. გაყიდული საქონლის თვითღირებულება აღიარდება ამავე პერიოდის ხარჯად და გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

8.6. იჯარა:

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

8.7. დაქირავებულ პირთა გასამუშელო:

ხელფასები, საპენსიო ფონდში გადახდილი თანხები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები თუ სხვა შეღავათები დარიცხულია და აღიარებულია იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც კომპანიის თანამშრომლების მიერ მოხდა შესაბამისი მომსახურების გაწევა.

8.8. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები:

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

8.9. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობა-ნაგებობები	5%
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	20%
მოწყობილობები	8%-20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა	15%

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა. ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.



თუ იარსებებს აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებები						
	მიწის ნაკვეთები	შენობები	ოფისის აღჭურვილობა, ავტო და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2020	47,542	643,623	113,983	92,180	2,585,225	3,482,553
შემოსვლა გადაფასება გასვლა	47,542	582,148	105,808	2,737	389,518	1,127,753
31 დეკემბერი 2021	-	-	8,175	-	-	8,175
ცვეთა და გაუფასურება						
დაგროვილი ცვეთა		-61,475	-752	-89,443	-2,195,707	-2,347,377
პერიოდის ცვეთა			-3,430			-3,430
გასვლა			-903			-903
31 დეკემბერი 2020		-61,475	3,581	-89,443	-2,195,707	-2,343,044
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	47,542	582,148	21,288	2,737	389,518	1,043,233
31 დეკემბერი 2021	-	-	4,594	-	-	4,594

დირექტორი:

თ. აფციაური

